სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 76

ქ. ბათუმი 06 აპრილი, 2022 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (შემდგომში „შემსყიდველი"/„ბსუ") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაკინთე ჩხარტიშვილის სახით და მეორე მხრივ შპს ,,ალარადენტ" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის სოფიო მესხის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და ჩატარებული ბაზრის კვლევის (MES 9 22 0000349095. 05/04/2022) საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყივის) ობიექტი

ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - ინდივიდუალური დოზიმეტრის მომსახურება. კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 90721600.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ვალუტა - ლარი.

2.4. ანგარიშსწორება ,,შემსყიდველის" მიერ განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებს **,,ბსუ დენტი"-ს დირექტორი ფრიდონ ჯაფარიძე.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 2023 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის" და ,,მიმწოდებელის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 %-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 (ერთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებისდამდებარცერთმხარესარააქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2023 წლის 10 მაისამდე.

12. სხვა პირობები

12.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35
ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22
ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

იაკინთე ჩხარტიშვილი

„მიმწოდებელი“

შპს ,,ალარადენტ“
ქ. თბილისი, ლ. მიქელაძის ქ. №17
საიდენტიფიკაციო კოდი: 404500072
ბანკი - ს.ს. ,,თიბისი ბანკი“,
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ნ GE29TB7212036020100001

დირექტორი

სოფიო მესხი

Sophio Meskhi 01008015415

Digitally signed by Sophio Meskhi
Date: 2022.04.06 17:04:45